23/12/2020

მიტროპოლიტ იობის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა

მროველ-ურბნელი მიტროპოლიტის იობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს რუისისა და ურბნისის ეპარქიის პრესცენტრის ხელმძღვანელი, მღვდელმონაზონი იერონიმე (ქათამაძე), რომელიც წერს:

“მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ მეუფე იობი თავს კარგად გრძნობს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და აგრძელებს მკურნალობის კურსს.

ყველას დიდი მადლობა, მეუფისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის.

პ.ს: შემოგვდის მრავალი შეტყობინება და ყველას ერთად აქ გიპასუხეთ”, – ნათქვამია მღვდელმონაზონ იერონიმეს განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ მიტროპოლიტი იობი დაინფიცირდა კორონავირუსული ინფექციით და რამდენიმე დღის განმავლობაში მკურნალობის კურსს გადის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში.

უფალმა ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მიმადლოს მიტროპოლიტ იობს.

wenews.ge